საბჭოთა ნაკრები გაემგზავრა ბელგრადში

საბჭოთა კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდი გაემგზავრა ბელგრადში, სადაც მონაწილეობას მიიღებს ევროპის პირველობის გათამაშებაში.

გუნდის შემადგენლობაში არიან: რიგიდან — მ. ვალდმანისი, ვ. მუიჟნიეკსი და ი. კრუმინში. მოსკოვიდან — ვ. ზუბკოვი, ა. პეტროვი, ა. ალაჩაჩიანი, ი. კორნეევი და გ. ვოლნოვი. სვერდლოვსკიდან — ვ. ნოვიკოვი, ა. კანდელი, თბილისიდან — ვ. უგრეხელიძე და კიევიდან — ა. ვალტინი.

29 აპრილს საზეიმო ვითარებაში გაიხსნება ჩემპიონატი, რომელიც 10 მაისამდე გასტანს.

მატჩი უახლოვდება ფინიშს

მოსკოვი. (ჩვენი სპეც. კორ.). XVI პარტიის შეწყვეტილი პოზიციის სახელდახელო ანალიზმა ცხადყო, რომ ტალს არც თუ იოლი გამარჯვება ელოდა. საერთოდ ლაზიერების დაბოლოება უფრო რთული სათამაშოა, ვიდრე ახალი პარტიისა. მთავარი სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ დამცველ მხარეს პრაქტიკულად მუდმივი ქიშის საუცხოო საშუალებები გააჩნია

ყველაფერი ეს მკაფიოდ გამოჩნდა XVI პარტიის დამთავრების დროსაც. მეტოქეებმა მალე გაცვალეს ეტლები და ბრძოლა ლაზიერების დაბოლოებაში გადავიდა. ბოტვინიკი მაქსიმალურ სიძნელეებს უქმნიდა ტალს უპირატესობის რეალიზაციაში. ბოლოს მსოფლიო ჩემპიონი იძულებული გახდა დაეთმო ზედმეტი პაიკი მუდმივი ქიშის თავიდან ასაცილებლად. ამის გამო ბრძოლის სიმწვავე სრულებით არ დამცხრარა. ტალი დაუღალავად ეძებდა მოგების გზებს. ბოტვინიკი ფხიზლად ადევნებდა თვალს მეტოქის მანევრებს და უვნებელყოფდა მუქარებს.

გადადებული პარტიის დამთავრება ექვს საათს გაგრძელდა და გაიდო 90-ე სვლაზე. გუშინ დილით მსოფლიო ჩემპიონის, ტალის წინადადებით მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ.

საღამოს, ტალის ავადმყოფობის გამო არ შედგა XVII პარტია. იგი გაიმართება 28 აპრილს. ამრიგად, ტალმა დაამთავრა მატჩ-რევანშის დებულებით პარტიების გაცდენა ავადმყოფობის გამო. ამიერიდან ყოველი პარტიის გაცდენა მას წაგებად ჩაეთვლება.

XVI პარტიის შემდეგ მატჩ-რევანშის ანგარიშია 10,5:5,5 ბოტვინიკის სასარგებლოდ.

II საერთაშორისო

25 აპრილს ძერჟინსკის სახელობის კლუბის სააქტო დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა თბილისის ქალთა II საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. უცხოელ სტუმრებსა და საბჭოთა კავშირის მოჭადრაკეებს მიესალმა საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე თ. მანაგაძე. შემდეგ ტურნირის მთავარმა არბიტრმა, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ქ. გოგიავამ დამსწრე საზოგადოებრიობას წარუდგინა ტურნირის მონაწილეები და გააცნო მათ შეჯიბრების დებულება.

პრეზიდიუმის მაგიდის წინ იასამნის თაიგულებით ხელში ჩამწკრივდნენ პიონერები. დაიწყო კენჭისყრა. თვითეული მონაწილე ირჩევდა ყვავილების თაიგულს. ასე შეივსო სატურნირო ცხრილი:

1. ე. კაკაბაძე (თბილისი), 2. ოსტატობის კანდიდატი ქ. იოვანოვიჩი (იუგოსლავია), 3. ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი), 4. საერთაშორისო ოსტატი ა. ნიკოლაუ (რუმინეთი), 5. ფ. ხუციშვილი (თელავი), 6. საერთაშორისო ოსტატი ქ. ზვორიკინა (მინსკი), 7. ოსტატი ვ. ასენოვა (ბულგარეთი), 8. ა. ჩაიკოვსკაია (თბილისი), 9. ოსტატი ო. შიკლდენე (უნგრეთი), 10. ოსტატი ა. ლიტვინსკა (პოლონეთი), 11. საერთაშორისო ოსტატი კ. ერეტოვა (ჩეხოსლოვაკია), 12. ოსტატი ვ. ტიხომიროვა (მოსკოვის ოლქი), 13. ოსტატი უ. ლიბერტი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), 14. ოსტატი მ. ტოგონიძე (თბილისი), 15. ოსტატი ნ. გაფრინდაშვილი (თბილისი).

• • •

გუშინ ტურნირზე შედგა I ტური, რომელშიც დამთავრდა მხოლოდ ერთი პარტია ასენოვა-ლიტვინსკა. გაიმარჯვა ასენოვამ, დანარჩენი პარტიები გადაიდო.

დღეს, 27 აპრილს შედგება II ტური.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 51 (1687) ხუთშაბათი, 27 აპრილი, 1961 წ. გამოცემის მე-17 წელი. ფასი 3 კაპ.

ვეტერანი გვიზიარებს შთაბეჭდილებებს

ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელთა ნაკრები გუნდების პირველ ორ მატჩს მოსკოვში დაესწრო სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. ჯორჯიკია. მან ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებები და პასუხები გასცა მთელ რიგ კითხვებზე. ქვემოთ მოგვყავს ამ საუბრის ტექსტი.

კითხვა: როგორი შთაბეჭდილება დასტოვა თქვენზე ამერიკელთა გუნდების თამაშმა?

პასუხი: თავდაპირველად მოგახსენებთ ქალთა ნაკრებზე. პირველ შეხვედრაში გუნდს ეტყობოდა დიდი ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ, ამიტომ ან ბოლომდე ვერ გამოავლინა თავისი ძალა. მეორე მატჩი ამერიკელებმა გაცილებით ძლიერად ჩაატარეს.

ვაჟთა გუნდი ჩემის აზრით უფრო ძლიერია, ვიდრე რამდენიმე წლის წინ თბილისში სტუმრად ჩამოსული ნაკრები. რაშია მისი სიძლიერე? პირველ რიგში ცენტრალური თავდამსხმელის ჯ. ლუკასის ვირტუოზულ თამაშში. შემდეგ, ამერიკელებმა საგრძნობლად შეცვალეს თამაშის მანერა სისწრაფის ხარჯზე. როგორც შეერთებული შტატების მოყვარულთა კალათბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა განაცხადა, წამყვანმა მწვრთნელებმა ბოლოსდაბოლოს უარი თქვეს გუნდში ხუთივე მაღალი კალათბურთელის დაყენებაზე და არჩიეს უფრო კომპრომისული ვარიანტი სამი მაღალი — ორი დაბალი. ეს პრეზიდენტის აზრით, თამაშს უფრო მოქნილსა და აგრესიულს ხდის.

კითხვა: რომელი გუნდი მიგაჩნიათ უფრო ძლიერად? ჰელსინკის ოლიმპიური ნაკრები, რომლის წინააღმდეგაც თქვენ თამაშობდით, თუ გუნდი, რომელიც თბილისს ეწვია.

პასუხი: საქმე იმაშია, რომ XV ოლიმპიური თამაშების შემდეგ დიდი დრო გავიდა, ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა კალათბურთის ტაქტიკასა და ტექნიკაში. ამერიკელები მაშინ შესამჩნევად გვჯობდნენ სიმაღლეში და ეს დიდ როლს თამაშობდა. დღეს საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ამ პუნქტში ამერიკელ კოლეგებს მთლიანად გადაუსწრო. რაც შეეხება თამაშის სტილს, იგი თითქმის უცვლელი დარჩა. ვიმეორებ, გაიზარდა მხოლოდ ტემპი.

კითხვა: რომელი თამაში მოგეწონათ უფრო, პირველი თუ მეორე?

პასუხი: რა თქმა უნდა, მეორე. ეს იყო ნამდვილი თანამედროვე კალათბურთი, ისეთი, როგორიც დიდიხანია არ გვინახავს.

კითხვა: რით იყო ღირსშესანიშნავი იგი?

პასუხი: ორი თანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრაში ბევრი რამ არის დამოკიდებული შემთხვევაზე. ეს მატჩი მოიგეს ამერიკელებმა, მაგრამ ასევე თამამად შეეძლო მისი მოგება ჩვენ გუნდს.

პირველ მატჩში იყო ზოგიერთი შეცდომა. არ გაამართლა ალაჩაჩიან-ვალდმანისის წყვილმა. ალაჩაჩიანის ტემპერამენტს ვერ შეეგუა ვალდმანისის მკაცრი აკადემიურობა და გაჩნდა დისონანსი. ამ მომენტში ყველაზე გონივრული იქნებოდა ვალდმანისის შეცვლა, რაც სამწუხაროდ არ მოხდა. პირიქით, მწვრთნელმა სრულიად გაუმართლებლად გამოიყვანა თამაშიდან ვოლნოვი და კორნეევი. არასწორი იყო ასეთ მომენტში უგრეხელიძისა და კანდელის ერთწუთიანი დებიუტიც.

მეორე შეხვედრაში კი ამერიკელთა ნაკრებს ბოლოსდაბოლოს სწორი შემადგენლობა დაუპირისპირდა. ალაჩაჩიანი ნატკენი ფეხით სათადარიგოთა სკამზე იჯდა და გამთამაშებლის მთელი ფუნქციები ვალდმანისს დაეკისრა, რომელმაც ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ იგი უძლიერესია ჩვენ გუნდში.

კითხვა: ვინ დატოვა თქვენზე კარგი შთაბეჭდილება ამერიკელთა შორის?

პასუხი: ცენტრალური თავდამსხმელი ლუკასი უდავოდ თანამედროვეობის საუკეთესო კალათბურთელია. ამბობენ, ლუკასს, რომ ჩემბერლენის სიმაღლე ჰქონდეს, იგი ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელი იქნებოდაო. ალბათ სწორია. ძალზე მომეწონა ზანგი ბ. უორლეი და დ. შვარცი.

კითხვა: ვინ იყო ჩვენს გუნდში უძლიერესი?

პასუხი: მოთამაშეთა შეფასება საერთოდ სუბიექტური ამბავია, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ჩვენს გუნდში საუკეთესო მ. ვალდმანისი იყო. არ შემიძლია ქებით არ მოვიხსენიო ვ. უგრეხელიძე, რომელმაც მაყურებლის აღტაცება დაიმსახურა. იგი შესანიშნავად იბრძოდა მაღალი ბურთისათვის, ბრწყინვალედ მოქმედებდა დაცვაში. საკმარისია ითქვას, რომ მან რამდენიმეჯერ „დააფარა" ნახტომით. ლუკასს რაც საერთოდ ძნელი წარმოსადგენია. დაბოლოს ვ. უგრეხელიძემ ყველაზე მეტი, 18 ქულა მოუტანა თავის გუნდს (მეორე მატჩში).

კითხვა: რას უნდა მიაქციონ ყურადღება ჩვენმა კალათბურთელებმა ამერიკელებთან შეხვედრაში?

პასუხი: განსაკუთრებული კონტროლის ქვეშ უნდა იყვნენ ლუკასი (№ 3), უორლეი (№ 5) და შვარცი (№ 9). ამას გარდა ამერიკელებს ჰყავთ ჩინებული სნაიპერები გ. ტომპსონი (№ 12) და რ. ტეილორი (№ 13), რომლებიც მუდამ მზად არიან სროლისათვის და არ უშვებენ არც ერთ ხელსაყრელ მომენტს.

• • •

სურათზე: ამერიკელი კალათბურთელები თბილისის აეროპორტში.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

გათამაშების მეოთხე ტური

I ქვეჯგუფი

„ტორპედო" (მოსკოვი)-„ნეფტიანიკი" (ბაქო) — 3:2
„დაუგავა" (რიგა)-„ადმირალტეეცი" (ლენინგრადი) — 0:2
„შახტიორი" (სტალინო)-„ავანგარდი" (ხარკოვი) — 0:0
„ტრუდი" (ვორონეჟი)-„ლოკომოტივი" (მოსკოვი) — 0:0

• • •

II ქვეჯგუფი

„სპარტაკი" (ერევანი)-„პახტაკორი" (ტაშკენტი) — 4:2
„კაირატი" (ალმა-ატა)-ცსკა — 1:1,
„მოლდოვა" (კიშინიოვი)-„დინამო" (მოსკოვი) — 1:2
„დინამო" (კიევი)-„კალევი" (ტალინი) — 6:1

მატჩი როსტოვში

გუშინ, როსტოვში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ფეხბურთში ერთმანეთს შეხვდნენ „ა" კლასის გუნდები ადგილობრივი სკა და თბილისის „დინამო".

მატჩი მოიგეს როსტოველებმა ანგარიშით 3:1.

ჩვენი გუნდი თამაშობდა ასეთი შემადგენლობით: კოტრიკაძე; ჩოხელი, თორაძე, ხოჭოლავა; ზეინკლიშვილი, გ. სიჭინავა (ხუნდაძე); მელაშვილი, იამანიძე, კალოევი, ლოლობერიძე, მესხი.

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 27 აპრილისათვის

I ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სკა როსტ.	4	3	0	1	10:3	6
„ტორპედო" მ.	4	3	0	1	8:4	6
„დინამო" თბ.	4	3	0	1	7:5	6
„ნეფტიანიკი" ბ.	4	2	1	1	5:4	5
„ლოკომოტივი" მ.	4	1	3	0	4:3	5
„ავანგარდი" ხ.	3	1	2	0	3:2	4
ადმირალტ". ლ.	4	1	1	2	3:4	3
„დაუგავა" რ.	3	1	0	2	3:5	2
„შახტიორი" სტ.	4	0	2	2	3:7	2
„ტრუდი" ვორ.	3	0	1	2	0:2	1
„სპარტაკი" ვ.	3	0	0	3	2:9	0

II ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" კ.	3	3	0	0	11:2	6
„დინამო" მ.	4	2	2	0	6:3	6
„მოლდოვა" კიშ.	4	2	1	1	8:3	5
ცსკა	4	2	1	1	8:6	5
„სპარტაკი" მ.	2	1	1	0	5:1	3
„პახტაკორი" ტ.	3	1	1	1	5:6	3
„სპარტაკი" ერ.	4	1	1	2	8:10	3
„კაირატი" ა-ტა	3	0	2	1	2:6	2
„ზენიტი" ლ.	3	1	0	2	3:9	2
„კალევი" ტალ.	3	0	1	2	2:8	1
„ბელარუსი" მნ.	3	0	0	3	2:6	0



ბათუმში დამთავრდა ნიჩბოსანთა შეჯიბრება (საიუბილეო სპარტაკიადა).

სურათებზე: ორადგილიან ბაიდარით 1000 მეტრზე რბოლაში გამარჯვებულები ბათუმელები ლ. ალხაზოვი და მ. ლომთათიძე. მარჯვნივ — 1000 მეტრზე გამარჯვებული თბილისელი თ. გიგაური.

ფოტო ა. კებებჩიანისა.

ჩოგბურთი

ბათუმში, „სპარტაკის" ჩოგბურთის ზღვისპირა კორტებზე პირველი ჯგუფის ხუთი კოლექტივი ჩაება საიუბილეო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებაში. თვითეულ გუნდში გამოდიოდა 2 ვაჟი და ამდენივე ქალი.

ტურნირი მაღალ დონეზე ჩაატარა თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის გუნდმა ნ. ზამბახიძის, ზ. ლოლობერიძის, ტ. ქარსიმაშვილის, დ. შალამბერიძის შემადგენლობით. მათ ნახევარფინალში მოუგეს სოხუმის პედინსტიტუტს — 5:0, ფინალში — ქუთაისის პედინსტიტუტს — 6:0 და დაიკავეს პირველი ადგილი. მეორეზე გამოვიდნენ ქუთაისელი ჩოგბურთელები, მესამეზე — ბათუმის მუსიკალური სასწავლებლის სპორტსმენები.

✦

ჭადრაკი

მეორე ჯგუფის გუნდების ტურნირში, რომელიც გორში ჩატარდა გამარჯვებისათვის იბრძოდა ქუთაისის განათლების მუშაკთა კავშირის, რუსთავის, გორის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, სოხუმის „ქიმიკის", თბილისის პლასტმასის, ბათუმის ელექტროხელსაწყოების ქარხნებისა და თბილისის ქალაქის საბჭოს გუნდები.

შეჯიბრებაში 23 ქულით პირველ ადგილზე გამოვიდნენ ქუთაისელი მოჭადრაკეები, რომლებმაც ... შეხვედრა მოიგეს და მხო... თბილისის ქალაქის საბჭოს გ... თან დასჯერდნენ ყაიმს — ... მომდევნო საპრიზო ადგი... მოიპოვეს თბილისის პლასტმ... და ბათუმის ელექტროხელსაწ... ების ქარხნების გუნდებმა.

ვაჟთა I დაფაზე გამარჯვება ... ლად ხვდა ქუთაისის მე-9 სკო... პედაგოგს ლ. ჯახუას. მეორე ... ფაზე გაიმარჯვა მისმა თანაგუ... ლმა მე-14 სკოლის პედაგოგმ... ელეტინმა. მესამე დაფაზე უ... ერესი იყო გორელი გ. კრიხ... ქალთა შორის პირველ და... ერთნაირი შედეგით I-II ადგ... გაიყვეს ქუთაისელმა ლ. ნან... შვილმა და ბათუმელმა ზ. გაბ... მეორე დაფაზე გაიმარჯვა ბათ... მელმა ვ. დუბინინამ.

ჩვენი გაზეთის მკითხველებთან მჭიდრო კავშირი, მათი წინადადებათა გათვალისწინება დიდად გვეხმარება მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებაში

თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის სამშენებლო განყოფილების II კურსის სტუდენტებს ნ. პირველს, რ. კაკაბაძეს, ე. ყვირალაშვილს, ს. ლაზაშვილსა და რ. ბებიას აინტერესებთ, თუ რატომ არ თამაშობენ სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდში ევროპის თასის მფლობელები ა. კრუტიკოვი და ა. მასლიონკინი.

ნაკრებ გუნდს, როგორც ცნობილია, ადგენენ ფეხბურთის საკავშირო ფედერაცია და მწვრთნელები — გ. კაჩალინი და ნ. გულიაევი. ეტყობა, მათი აზრით ამ ფეხბურთელებზე უფრო ძლიერად თამაშობენ სხვები, რომლებიც შეყვანილი არიან კიდეც ნაკრებში.

ქ. რუსთავის მცხოვრებლები გ. ხუნდაძე, ე. კერესელიძე, გ. კოპაძე, მ. ბერძენიშვილი და ი. ასათიანი გვწერენ:

ხომ არსებობს მსოფლიოს ნაკრები გუნდი ფეხბურთში. ვის უნდა შეხვდეს იგი, როდის?

მსოფლიოს ნაკრები გუნდი ფეხბურთში არ არსებობს. ამგვარ ნაკრებს ადგენენ ხოლმე ყოველი მსოფლიო პირველობის დამთავრების შემდეგ, მაგრამ იგი სდგება არა რეალურად და რაიმე შეხვედრების ჩასატარებლად. ესაა ე. წ. „იდეალური ნაკრები", სადაც სპეციალისტები განსაზღვრავენ 11 უძლიერეს მოთამაშეს განვლილი ჩემპიონატის შედეგების მიხედვით.

• ზესტაფონის რაიონის სოფელ ზედა საქარის მცხოვრებს გ. სარალიძეს აინტერესებს: რატომ არ შეიძლება კალათბურთში ფიქსირებულ იქნას ფრე და შესაძლებელია თუ არა კალათბურთის მატჩის ტრანსლირება.

იყო დრო, როცა კალათბურთში საყაიმო ანგარიშის ფიქსირება ხდებოდა. შემდგომში ეს წესი შეიცვალა კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის წესების შესაბამისად. კალათბურთის მატჩის ტრანსლაცია, რა თქმა უნდა, შესაძლებელია.

◆

სოფ. ლენტეხის მცხოვრებლებს ჯ. და ბ. ონიანებს აინტერესებთ სად არის ამჟამად ა. მეკოკი... ლი და ეწევა თუ არა სპორტ... საქმიანობას მისი ვაჟიშვილი.

სპორტის დამსახურებული ... ტატი ა. მეკოკიშვილი ამჟ... მოსკოვში იმყოფება. აქვეა ... ვაჟიშვილი, რომელიც დედაქა... ქის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავ... ბელში სწავლობს. უმცროსი მე... კიშვილი სისტემატურად ვარ... შობს თავისუფალ ჭიდაობაში ... მწვრთნელების აზრით მალე ... შედეგებსაც მიაღწევს.

პარკთან არსებო... სექციები

გასული წლის მაისში შე... და მნიშვნელოვან მუშაობას ეწ... სამტრედიის რაიონის ვ. სტუ... სახელობის კულტურისა და ... ვენების პარკთან არსებული სპ... ტული წრეები.

კულტურისა და დასვენების ... რკში სპორტსმენთა განკარგუ... ბაშია ნათელი დარბაზი საწვრთ... ლი ვარჯიშებისათვის, ისინი ... რუნველყოფილი არიან ყველ... ჭირო ინვენტარით.

პარკთან შექმნილი სპორტ... სექციები დიდ დახმარებას უწ... საწარმოო-დაწესებულებებთან ... მნილ სექციებს, აწყობენ მა... შეხვედრებს. ამას წინათ ამხა... რი მატჩი ჩატარდა პარკთან არ... ბული და ჩაის მექანიკური ... ხნის კალათბურთელთა შორის.

კულტურისა და დასვენების ... რკის დირექციას განზრახული ... ამხანაგური შეხვედრები მოეწ... მეზობელ რაიონებთან კალათბ... თში, ფრენბურთში, მაგიდის ... ბურთსა და ჭიდაობაში.

ნ. მანჯგალ...

გაკვეთილის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის

სკოლაში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილს მოსწავლეთა ყოველმხრივი აღზრდა-განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ყოველთვის და ყველგან როდი ტარდება იგი მის მიმართ წაყენებული მოთხოვნების შესაბამისად. სპორტული ბაზების უქონლობა ბევრ სკოლაში ფიზიკურ აღზრდას მთლიანად აქარწყლებს. რა უნდა მოვთხოვოთ მასწავლებელს, როდესაც მას სასკოლო ოთახსა და მერხებს გარდა არაფერი გააჩნია გაკვეთილის ჩატარებისათვის?

ამას გარდა, ზოგიერთ სკოლაში მოსწავლეთა მრავალრიცხოვნება ხელს უშლის გაკვეთილის მაღალ დონეზე ჩატარებას. არის კლასები, სადაც 40 მოსწავლეა. როგორ უნდა გაანაწილოს მასწავლებელმა გაკვეთილის 45 წუთი თითოეულ მოსწავლეზე?

გასულ წლებში შემუშავებული პროექტის მიხედვით მრავალრიცხოვნობის შემთხვევაში საჭიროა ჯგუფის დაყოფა არაუმეტეს 25 მოსწავლეზე როგორც სხვა პრაქტიკულ გაკვეთილებზე, ასევე ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებზეც. სახელოსნოებში ეს ღონისძიება გატარდა, ხოლო ფიზიკური აღზრდის გაკვეთილზე კი — არა.

ნ. კილაძე,

ქობულეთის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელი.

* * *

როგორ მოვიქცეთ?

რესპუბლიკაში ბევრ სკოლას სპორტული ბაზები არ აქვს. განსაკუთრებით აღინიშნება სპორტული დარბაზების ან თუნდაც სამეცადინო ოთახების სიმცირე, რაც ცუდ ამინდებში და ზამთრის პერიოდში საგრძნობლად უშლის ხელს ფიზკულტურული გაკვეთილების ხარისხოვნად ჩატარებას.

ასეთ პირობებში გაკვეთილის ჩატარება ხშირად მერხებს შორის გვიხდება, რაც, ცხადია ყოველგვარ არანორმალურობას აღემატება.

ისმება კითხვა: როგორი მიმართულება უნდა მიეცეს ფიზკულტურის გაკვეთილს, ან საერთოდ რა ვაკეთოთ, როდესაც ასე ხშირად გვიხდება გაკვეთილის ჩატარება საკლასო ოთახში, სადაც გამკლავის გაკეთებაც მოუხერხებელია?

შ. ფაცურაიშვილი

ხელს გვიშლის ტერმინოლოგიის უქონლობა

ახლახან დავამთავრე საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი და ვმუშაობ მწვრთნელად ფოთის ბავშვთა სპორტულ სკოლაში. იმუშაო მწვრთნელად არც ისე ადვილი საქმეა, თუ საქმე გიყვარს და მთელი არსებით ეკიდები მას. მაგრამ მარტო მონდომება არ შველის საქმეს, კერძოდ — სპორტული ტანვარჯიშის მწვრთნელს, თუ იგი სათანადო სპორტული ტერმინოლოგიის ცოდნით არ არის აღჭურვილი. როგორც ცნობილია, სპორტულ ტანვარჯიშში ქართულ ენაზე ასეთი ტერმინოლოგიის შემცველი წიგნი ან ლექსიკონი სპორტული ტანვარჯიშის მწვრთნელთა ახალგაზრდა კადრებს ხელთ არ გვაქვს, ეს კი უამრავი სიძნელეების წინაშე გვაყენებს მუშაობის პროცესში.

ე. ხახუბია

* * *

მჭადიჯვარს სპორტული ბაზები სჭირდება

დუშეთის რაიონში მჭადიჯვარზე დიდი სოფელი თითქმის არ არის. ამის მიუხედავად, სოფელს არ გააჩნია საჭირო სპორტული ბაზები და ინვენტარი. აქ მხოლოდ ფეხბურთის მოედანია, ისიც სამი მხრიდან წყალშემდგარი, არ არის კალათბურთისა და ფრენბურთის სათამაშო მოედნები, თუმცა მსურველთა რიცხვი ამ სპორტულ სახეობებში მეცადინეობისათვის მეტად დიდია.

საჭიროა რაიონულმა ცენტრმა მეტი ყურადღება მიაქციოს მჭადიჯვარელი ახალგაზრდების მოთხოვნებს.

უ. ქარჩაიძე,

ვ. ფოთოლაშვილი

მკითხველთა სიგნალები

წერილების კვალდაკვალ

ცხუნკურელმა ახალგაზრდებმა კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას მრავალჯერ ვთხოვეთ გაგვეწიოს დახმარება, რათა მოვაწყოთ ფეხბურთისა და ფრენბურთის მოედნები. მაგრამ ყურადღებას არავინ გვაქცევს — გვწერდნენ ცხუნკურელი ახალგაზრდები.

წერილი შესამოწმებლად და ზომების მისაღებად გადაეცა საქართველოს კომპარტიის წ... ტუბოს რაიკომის მდივანს, ... დანაც გვატყობინებენ, რომ ... ნიშნული ფაქტი დადასტუ... ამჟამად მიღებულია ზომები ... რტული მოედნების მოსაწყ... და ახალგაზრდობის სპორტ... ინვენტარითა და ტანსაცმლით ... რუნველყოფისათვის.

საქართველოს პირველობის მეოთხე ტური

ფეხბურთი

მედგა მეოთხე ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

რესპუბლიკის შარშანდელი ჩემპიონი — ქუთაისის „იმერეთი“ თავის მინდორზე თამაშობდა სოხუმის „დინამოსთან“. მასპინძლებმა შეტევით დაიწყეს მატჩი და უკვე შესვენებისათვის დაწინაურდნენ ანგარიშით 2:0. მეორე ტაიმში ქუთაისელებმა კიდევ უფრო განამტკიცეს თავიანთი გამარჯვება — 3:0.

ბათუმში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „განთიადი“ და თბილისის არმიელთა გუნდი. დასაწყისში წინ იყვნენ არმიელები — 2:1, მაგრამ შესვენების შემდეგ ბათუმელებმა გაიტანეს მეორე ბურთი და გაათანაბრეს ანგარიში — 2:2.

კარგად ჩაატარეს თავიანთი მორიგი შეხვედრა ჩოხატაურის „ბახმაროს“ ფეხბურთელებმა ხობის „კოლხეთთან“. მათ მიაღწიეს გამარჯვებას ანგარიშით 3:1.

თბილისში ამ დღეს თამაშობდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი და თელავის „კოლმეურნე“. სტუდენტებმა აჩვენეს ტაქტიკურად უფრო გამიზნული თამაში და დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 4:1.

საინტერესოდ ჩატარდა შეხვედრა ჭიათურაში ადგილობრივ „მაღაროელსა“ და ქობულეთის „შუქურას“ შორის. პირველ ტაიმში მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთის კარში გაიტანეს თითო ბურთი — 1:1. შესვენების შემდეგ თამაშმა კიდევ უფრო დაძაბული ხასიათი მიიღო, მაგრამ ანგარიში უცვლელი დარჩა და გუნდებმა გათამაშების ცხრილში ჩაიწერეს თითო ქულა.

ტყიბულის „მეშახტეს“ თავისი მორიგი მატჩი ჰქონდა გეგეჭკორში ადგილობრივი „სალხინოს“ წინააღმდეგ. ტყიბულელებმა პირველ ტაიმში 2 „მშრალი“ ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგეთა კარში და ეს ანგარაშით — 2:0 შეინარჩუნეს კიდეც საბოლოოდ.

I ქვეჯგუფის ლიდერი — მახარაძის „სიხარული“ თამაშობდა ადიგენში ადგილობრივ „მექანიზატორთან“. სტუმრებს უპირატესობა ჰქონდათ მთელი მატჩის განმავლობაში და გამარჯვებაც მათ დარჩათ — 4:1.

დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა შეხვედრა თბილისის „ისანსა“ და ახალციხის „მესხეთს“ შორის. პირველი ტაიმის შემდეგ წინ იყვნენ ახალციხელები — 3:2. ზუსტად ასეთივე ანგარიშით დამთავრდა მეორე ტაიმიც და საბოლოო გამარჯვება დარჩა „მესხეთს“ — 6:4.

თბილისის „სპარტაკისა“ და ქუთაისის „მშენებელის“ შეხვედრაში, რომელიც ქუთაისში შედგა, ანგარიში არ გახსნილა — 0:0.

წულუკიძის „ფეიქარმა“ თავის მინდორზე მიიღო II ქვეჯგუფის ლიდერი „გურია“ (ლანჩხუთი). მიუხედავად იმისა, რომ ლანჩხუთელებს უპირატესობა ჰქონდათ დასაწყისშივე, პირველი ბურთი გატანილ იქნა მათს კარში, მაგრამ 30-ე წუთზე ნარიაშვილმა გაათანაბრა ანგარიში— 1:1. ლიდერმა შემდგომში კიდევ უფრო გააძლიერა თამაში და მიაღწია გამარჯვებას — 6:2.

სტალინირში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი და რუსთავის „სპარტაკის“ თანაკლუბელთა გუნდები. პირველ ტაიმს შედეგი არ მოუცია — 0:0 ანგარიში მეორე ტაიმში გახსნა სტალინირელმა თედეევმა, რის შემდეგ მასპინძელთა კარში გატანილ იქნა საპასუხო ბურთი. საბოლოო გამარჯვება დარჩა სტალინირის „სპარტაკს“, რომელმაც კარგად ჩაატარა აღნიშნული შეხვედრა — 3:1.

ფრედ — 1:1 დამთავრდა მატჩი ფოთში, სადაც თამაშობდნენ ადგილობრივი „მეზღვაური“ და ცხაკაიას „განთიადი“.

ყვარლის „დურუჯისა“ და ზუგდიდის „ოდიშის“ შეხვედრაში პირველი ნახევარი დამთავრდა „დურუჯის“ სასარგებლოდ — 3:2. მასპინძლებმა ეს ანგარიში შეინარჩუნეს მატჩის ბოლომდე და მიაღწიეს დამსახურებულ გამარჯვებას. აღსანიშნავია, რომ ზუგდიდელებმა უპასუხისმგებლოდ ჩაატარეს თამაში.

სამტრედიის „ლოკომოტივისა“ და გორის „დილას“ მატჩი, რომელიც სამტრედიაში შედგა, მოიგეს გორელებმა — 2:0. ორივე ბურთი გაიტანა „დილას“ ფორვარდმა თურაზაშვილმა.

შეწყდა ბრძოლა ბილიკებზე

საგაზაფხულო კროსი

თბილისის საგაზაფხულო კროსში მონაწილეობას ღებულობდა წარმოება-დაწესებულებათა, უმაღლეს სასწავლებელთა, სპორტსაზოგადოებათა, ტექნიკუმებისა და სკოლების ნაკრები გუნდები.

ქალთა შორის 1000 მეტრზე რბენაში პირველი ადგილი დაიკავა ტ. მატიუშმა (ფიზკულტურის ინსტიტუტი), მეორე ადგილზეა ა. შუქუროვა („კოლმეურნე“), ხოლო მესამეზე — ნ. ნოზაძე (ფიზკულტურის ინსტიტუტი). 8 კილომეტრზე რბენაში საუკეთესო შედეგით პირველ ადგილზე გამოვიდა ვ. კომაროვი (სკა), მეორეზე ა. ლაჭრიშვილი, მეან უ ადგილი წილად ხვდა ა. კრავჩენკოს (ორივე ფიზკულტურის ინსტიტუტი).

3 კილომეტრზე პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა ვ. რუკინმა და ნ. თვაურმა, ხოლო მესამე ადგილზე გამოვიდა გ. ნაგა (პედინსტიტუტი). მოსწავლეთა შორის 500 მეტრზე რბენაში გოგონებს შორის ქალაქის ჩემპიონი გახდა ლ. ზგურსკაია (27-ე სკოლა). 1 კილომეტრზე რბენაში გაიმარჯვა ხ. ავეტისიანმა (75-ე სკოლა).

საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს კიროვის სახ. რაიონის, მეორე — კალინინის და მესამე — ლენინის სახელობის რაიონის სპორტსმენებმა.

ი. ხაბეიშვილი

ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში გამართულ მოფარიკავეთა საერთაშორისო მატჩის მონაწილეებიდან მაყურებელთა გასაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ესპადრონისტების შეჯიბრება. ამ იარაღით თავიანთი ქვეყნების სპორტულ ღირსებას იცავდნენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონები პოლონელები — ეჟი პავლოვსკი და ანეეი პიანტკოვსკი, საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის წევრები ვ. ხარხალუპი, ნ. ასათიანი და ა. ალანაკიანი.

ფინალისაკენ გზა ძნელი გასაკაფი აღმოჩნდა საერთაშორისო ბრძოლებში დახელოვნებულ ოსტატებისათვისაც. ე. სობოლმა, ე. პიასეცკიმ, ა. ვოენიაკმა (პოლონეთი) და ვ. ხარხალუპმა ნახევარფინალშივე დაკარგეს შეჯიბრების შემდეგ ეტაპში მონაწილეობის უფლება. თვით ე. პავლოვსკიც ვერ აცდა დამარცხებას წინასწარ შეხვედრაში — ახალგაზრდა თბილისელმა ი. კოვაჩევიჩმა ანგარიშით 5:4 დაამარცხა იგი და პოლონელი ერთი წაგებით მოხვდა ფინალში. აქ მას უნდა ებრძოლა მ. სახვაძესთან, ე. პიანტკოვსკისთან და ნ. ასათიანთან.

ვიდრე ფინალზე ვილაპარაკებდეთ, არ შეიძლება არ აღინიშნოს ახალგაზრდა ქართველი მოფარიკავეების გ. აბულაძის, ი. კოვაჩევიჩისა და გ. ლორთქიფანიძის (ამ უკანასკნელმა სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა) გაზრდილი ბრძოლები.

ფინალში პირველად მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ეჟი პავლოვსკი და ნ. ასათიანი დადგნენ ერთმანეთის პირისპირ. ჩვეულებრივზე მეტხანს გაგრძელდა მათი ურთიერთდაზვერვა. ტემპერამენტიანმა ქართველმა პირველმა წამოიწყო იერიში, მაგრამ სტუმარმა შუაგზაშივე შეაჩერა იგი კონტრდარტყმით — 1:0. ნ. ასათიანმა კვლავ განაახლა იერიში და ამჯერად მიაღწია კიდეც მიზანს 1:1.

ქართველმა მოფარიკავემ კიდევ რამდენიმე შეტევა განახორციელა და მსოფლიოს უძლიერეს ესპადრონისტთა 1961 წლის ვარშავის ტურნირში ე. პავლოვსკისთან დამარცხებისათვის რევანში აღებული იქნა — 5:2.

ნ. ასათიანის დახვეწილი ტექნიკის „მსხვერპლი“ გახდა ა. პიანტკოვსკიც, რომელიც თავის თანამემამულეზე იღბლიანი აღმოჩნდა და ქართველი სპროტსმენის შემდეგ მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა. მესამე-მეოთხე ადგილები გაიყვეს მ. სახვაძემ და ე. პავლოვსკიმ.

რაპირით მოფარიკავე ვაჟთა შეჯიბრებაში უდავო იყო სომხეთის გუნდის წარმომადგენლის სპორტის ოსტატ მ. ჯაუკიანის უპირატესობა დანარჩენ მეტოქეებზე.

ამ იარაღით მებრძოლ ქალთა გუნდური პირველობა პოლონეთის და სომხეთის მოფარიკავეთა შეხვედრით დაიწყო. უცხოელმა სპორტსმენებმა აშკარად დაჯაბნეს მოწინააღმდეგე და გაიმარჯვეს დიდი ანგარიშით — 14:2. სომეხი მოფარიკავეები ვერც ქართველებთან შეხვედრაში გაექცნენ დამარცხებას და მატჩი წააგეს თითქმის ასეთივე ანგარიშით — 3:13.

ჩვენი რესპუბლიკის და პოლონელი მოფარიკავე ქალების შეხვედრაში პირველი ქულა თავის გუნდს ს. იულიტომ მოუტანა, რომელმაც მშრალი ანგარიშით დაამარცხა ლ. შეყრილაძე. მალე ჯ. გიორგაძემ გაათანაბრა ანგარიში ჰ. შრეიდეროვაზე გამარჯვებით, მაგრამ სტუმრებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და ანგარიში 5:2 გახდა. გუნდში გარდატეხა შეიტანა ლ. ფანჩვიძის დამაჯერებელმა გამარჯვებამ ს. იულიტოზე, რომლის შემდეგაც მოწინააღმდეგეებმა როლები შეცვალეს და წინ ქართველი მოფარიკავეები გავიდნენ. დაძაბული მატჩი, ქართველ მოფარიკავეთა გამარჯვებით (9:7) დამთავრდა.

დაშნით ფარიკაობაში ევროპის თასის მფლობელი პოლონელები ამ იარაღში მაინც მოელოდნენ წარმატებას. მაგრამ მათ სომხეთის გუნდთან შეხვედრაშივე განიცადეს დამარცხება. ცხადია, რომ პირველი ადგილის ბედი სომხეთისა და საქართველოს მოფარიკავეთა შეხვედრას უნდა გადეწყვიტა. საბრძოლო ატმოსფერო პირველ შეხვედრიდანვე დაიმუხტა და გამარჯვების სასწორიც ცვალებადად ირხეოდა ორივე მხარეზე — 1:1, 2:2, 3:3. თავი იჩინა ნაავადმყოფარი გ. კოსტავას გადაღლამაც. მან დამარცხებულმა დასტოვა საფარიკაო ბილიკი ვ. ჩერნიკოვთან შეხვედრაში. მდგომარეობა გამოასწორა რ. გოშაძის გამარჯვებამ ა. ხაჩატურიანზე, მაგრამ მ. სულამანიძემ წააგო გ. ხრომოვთან და სტუმრები კვლავ წინ გავიდნენ — 5:4.

საფარიკაო ბილიკზე ვ. ჩერნიკოვი და კ. გოგელია დადგნენ. ფაქტიურად ამ ბრძოლას უნდა გადეწყვიტა შეხვედრის ბედი და ქართველი მოფარიკავეც მხსნელად მოევლინა თავის გუნდს.

კ. გოგელიამ დამაჯერებლად მოიგო უაღრესად საჭირო და პრინციპული ბრძოლა — 5:3. მომდევნო შეხვედრების ზედიზედ მოგებით ქართველმა მოფარიკავეებმა საბოლოოდ განამტკიცეს თავიანთი გუნდის გამარჯვება — 10:6.

კ. გოგელია მეორედ მოევლინა თავის გუნდს გაჭირვების ტალკვესად პოლონელებთან შეხვედრაში. ანგარიში კატასტროფულად იზრდებოდა სტუმრების სასარგებლოდ და გარდატეხა სწორედ კ. გოგელიასა და პოლონეთის საუკეთესო მოფარიკავის ე. სტშაუკას შეხვედრით დაიწყო. ქართველმა სპორტსმენმა უშეცდომოდ ჩაატარა ეს შეხვედრა და მორიგ გამარჯვებას მიაღწია. საერთოდ, იგი ერთადერთი მოფარიკავე აღმოჩნდა ამ მატჩში, რომელმაც 8 შეხვედრიდან რვავე მოიგო.

ამის შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის მოფარიკავეებმა დიდი აღმავლობით ჩაატარეს დანარჩენი შეხვედრები და გაიმარჯვეს ანგარიშით 9:7.

შეჯიბრება გუშინ გვიან ღამით დამთავრდა. საერთო შედეგებს გამოვაქვეყნებთ შემდეგ ნომერში.

ტ. მესხი,
შეჯიბრების მსაჯი,
გ. სამსონაძე

საქართველოს, პოლონეთისა და სომხეთის მოფარიკავეთა საერთაშორისო მატჩი

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 27 აპრილისათვის

I ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სიხარული“ (მახარაძე)	4	3	1	0	14:4	7
ფიზკ. ინსტ. თბილ.	4	3	1	0	9:1	7
„ბახმარო“ (ჩოხატაური)	4	3	0	1	7:9	6
სკა — თბილისი	4	2	1	1	7:4	5
„მაღაროელი“ (ჭიათურა)	4	2	1	1	5:3	5
„მეშახტე“ (ტყიბული)	4	2	1	1	5:4	5
„შუქურა“ (ქობულეთი)	4	2	1	1	6:6	5
„განთიადი“ (ბათუმი)	4	1	2	1	7:4	4
„იმერეთი“ (ქუთაისი)	4	1	2	1	6:5	4
„კოლხიდა“ (ხობი)	4	1	1	2	6:7	3
„კოლმეურნე“ (თელავი)	4	0	2	2	5:10	2
„სალხინო“ (გეგეჭკორი)	4	1	0	3	3:8	2
„დინამო“ (სოხუმი)	4	0	1	3	3:9	1
„მექანიზატორი“ (ადიგენი)	4	0	0	4	2:11	0

II ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„გურია“ (ლანჩხუთი)	4	4	0	0	16:5	8
„სპარტაკი“ (სტალინირი)	4	3	0	1	7:7	6
„განთიადი“ (ცხაკაია)	4	2	1	1	5:3	5
„ისანი“ (თბილისი)	4	2	0	2	12:9	4
„ოდიში“ (ზუგდიდი)	4	2	0	2	11:9	4
„მეზღვაური“ (ფოთი)	4	1	2	1	5:4	4
„ლოკომოტივი“ (სამტრედია)	4	2	0	2	5:5	4
„სპარტაკი“ (თბილისი)	4	1	2	1	2:2	4
„მშენებელი“ (ქუთაისი)	4	1	2	1	4:5	4
„დურუჯი“ (ყვარელი)	4	2	0	2	7:9	4
„მესხეთი“ (ახალციხე)	4	1	1	2	7:7	3
„დილა“ (გორი)	4	1	1	2	5:6	3
„ფეიქარი“ (წულუკიძე)	4	1	0	3	6:14	2
„სპარტაკი“ (რუსთავი)	4	0	1	3	4:11	1

ლ ე ლ ო

მე-3 გვ. № 51 (1687)

ჩილი 1962 წ.

ეს კითხვა პირველად არ წამოჭრილა საფრანგეთის საფეხბურთო და სპორტულ წრეებში. იგი დიდადაა დაკავშირებული მეორე კითხვასთან: „რას უნდა მოველოდეთ მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში“? საფრანგეთის ნაკრების დღევანდელი ფორმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სანუგეშო ბევრი არაფერია. ავიღოთ თუნდაც ორი უკანასკნელი შეხვედრა: ფრე საკუთარ სტადიონზე ბელგიელებთან (1 : 1) და მარცხი მადრიდში ესპანელებთან (0 : 2). ეროვნული ნაკრები გახდა თავისებური „სასტუმრო“, სადაც „გავლით“ მრავალი მგზავრი იმყოფებოდა და ვინ იცის კიდევ რამდენი „სოლისტი“ დაბინავდება მასში.

სამი წლის წინ ფრანგებს მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი თავდასხმა ჰყავდათ. მისი ლიდერი კოპა მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ უძლიერეს თავდამსხმელადაა აღიარებული, ხოლო ფონტენი — ყველაზე უფრო შედეგიან ფორვარდად. საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს ვისნესკიმ (№ 7), პიანტონიმ (№ 8) და ვენსანმა (№ 11). ნაკრების ხელმძღვანელობა სიამოვნებით შეინარჩუნებდა თავდასხმის ამ ხუთეულს მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატამდე, მაგრამ თურმე მწვრთნელ ალბერ ბატეს ოცნებებს განხორციელება არ ეწერა. უპირველეს ყოვლისა, მას უმტყუნა პიანტონიმ, რომელიც დაეხარბა ფულს და შემოდგომიდან არგენტინაში („რივერ პლატაში“) ითამაშებს. ჟ. ფონტენი ტრავმის გამო ხანგრძლივად გამოვიდა მწყობრიდან. მ. ვისნესკიმ ერთბაშად „დაკარგა ფორმა“. დარჩა მხოლოდ კოპა, სწორედ ის რაიმონ კოპა, რომელმაც საფრანგეთის ფეხბურთს წარსულში დიდება მოუტანა, დღეს კი კრიტიკის ქარცეცხლში მოხვდა.

მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ამ შედარებით ახალგაზრდა ფორვარდის (იგი 28 წლისაა) თამაშის მანერამ დიდი ევოლუცია განიცადა. თუ 1958 წელს იგი თავდასხმის საუცხოო „დირიჟორი“ იყო, ამჟერად თვით გამოდის „სოლისტის“ როლში, მაგრამ ასეთი თამაშით იგი გუნდისათვის ნაკლები სარგებლობის მომტანია. საქმე იმაშია, რომ ვირტუოზული ტექნიკის მქონე კოპა ამჟამად უგულებელყოფს დანარჩენ თავდამსხმელებს და თვით

კოპა თუ...

ცდილობს დრიბლინგით შეაღწიოს მეტოქის კართან. თუ ამას დავუმატებთ, რომ დანარჩენ თავდამსხმელებს მითითება აქვთ მხოლოდ თავიანთი ლიდერის გარღვევას შეუწყონ ხელი და ყველაფერში დაემორჩილონ „სოლისტს“. ცხადია, ფრანგების იერიშებს სიმწვავე დაეკარგა. გამოდის ისე, რომ კოპამ თვით უკუაგდო თავისი თამაშის უძლიერესი მხარე და ცდილობს სნაიპერისა და „ტანკის“ როლი შეასრულოს, რაც მისი აღნაგობისა და სუსტი დარტყმის მქონე ფორვარდისათვის სრულიად შეუძლებელია. სწორედ ამის გამო აღიმაღლეს ხმა საფრანგეთის წამყვანმა მწვრთნელებმა. პრესაში გამოითქვა აზრი, რომ ასეთი თამაშით კოპა უფრო მეტ ზიანს მოუტანს გუნდს, ვიდრე სარგებლობას.

საფრანგეთის ნაკრების ახლანდელ მწვრთნელს ჟორჟ ვერიეს მიაჩნია, რომ „რეალის“ მწვრთნელმა ლუის კარნილიამ კოპას თავის დროზე ღირსეული ადგილი მიუჩინა — იგი იდეალური მარჯვენა გარემარბია. „რეიმსის“ მწვრთნელი ა. ბატე (იგი ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელია) თავის საყვარელ მოწაფეს ისევ ცენტრფორვარდის პოსტზე ათამაშებს. ნაკრებმა „რეიმსის“ ცენტრფორვარდი ესპანელთა წინააღმდეგ მარჯვენა გარემარბად გამოიყენა, მაგრამ კოპამ პირველ ტაიმშივე მიიღო „მორიგი“ ტრავმა.

რით შეივსო ნაკრების თავდასხმაში შექმნილი „ვაკუუმი“? მარჯვენა შუამარბად თამაშობს ნიჭიერი ფორვარდი რ. გიია. მას „პატარა კოპას“ უწოდებენ. ცენტრფორვარდი როი თავდასხმის საუცხოო ორგანიზატორია და მწვავედ უტევს მეტოქის კარს. თავდასხმისათვის დიდი შენაძენია 22 წლის ი. დუი. ორიოდე წლის მანძილზე დუი პირველხარისხოვანი ფორვარდი გახდა. მარცხენა გარემარბის პოსტზე უკანასკნელ ხანებში თამაშობს რაბისი. ნაკრების კანდიდატებად ითვლებიან აგრეთვე უნივერსალური ფორვარდი ფ. ეტი, ი. უჟლაკი და მ. ვისნესკი. ნახევარდაცვაში ძირითადი პრეტენდენტები არიან ჟ. მარსელი, ლ. მიულერი და რ. ფერიე, მცველების პოსტზე ითამაშებენ ბეგანსკი, როძიკი და ლუდო (ლუდვიკოვსკი). პოლონური გაზეთი „სპორტი“ (ქ. კატოვიცე) წერდა, რომ სამივე მცველი პოლონური ჩამომავლობისაა.

მას შემდეგ, რაც ასაკის გამო ნაკრები დატოვა სახელოვანმა მეკარემ ფ. რემეტერმა ღირსეული შემცვლელის გამოძებნა დიდხანს ვერ შეძლეს. ვერც აბელი, ვერც ლამბერ და კოლინა, ვერ შეარჩინენ ნაკრებს. დღისათვის ეს გამოძებნეს. ეშველათ რეპეტიციის მეკარე ბერნარი. ეს ამელეც უცვლელად თამაშობს უკანასკნელ საერთაშორისო მატჩებში.

ნაკრების მწვრთნელები აპირებენ გააგრძელონ ექსპერიმენტები უძლიერესი შემადგენლობის დასადგენად. ფრანგებს აქვთ ამის შესაძლებლობა. ჯერ ერთი, მათ მოიგეს ორი მატჩი მსოფლიო პირველობის შესარჩევ ქვეჯგუფში. რასაკვირველია, შიშს არ იწვევს მოსალოდნელი მატჩი ფინელებთან, რომელიც პარიზში უნდა შედგეს, ხოლო განმეორებით მატჩამდე სოფიაში ბულგარეთის ნაკრებთან, რამაც ფაქტიურად უნდა გადაწყვიტოს თუ ვინ გაემგზავრება ჩილში, კიდევ ბევრი დროა.

გ. გამრეკელი

ევროპის ჩემპიონის სახელისათვის

ევროპის მძლეოსნობის ფედერაციის გადაწყვეტილებით ბელგრადში გაიმართება კონტინენტის VII ჩემპიონატი მძლეოსნობაში. ამ ღონისძიების პირველ სტარტამდე დიდი დროა დარჩენილი, მაგრამ შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის შტაბი ბელგრადშია მოთავსებული, დიდიხანია შეუდგა მზადებას, — კავშირი დაამყარა ევროპის ყველა სპორტული გაზეთის რედაქციასთან და აწვდის მათ ინფორმაციებს შეჯიბრებისათვის მზადების საკითხებზე.

ამას წინათ ჩვენმა რედაქციამ მიიღო მძლეოსნობაში ევროპის VII პირველობის საორგანიზაციო კომიტეტის საინფორმაციო ბიულეტენი, რომელშიც მთელ რიგ საინტერესო საკითხებზეა ლაპარაკი.

◆

ძირითადი საკითხები

ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის ზრუნვის ერთ-ერთ ძირითად საკითხად გადაიქცა სპორტსმენთა საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის საკითხი. საორგანიზაციო კომიტეტს ამ საქმის მოგვარებაში დაეხმარა ბელგრადის უნივერსიტეტის რექტორი, რომელმაც თანხმობა განაცხადა, რომ იგი ჩემპიონატის დღეებში სტუმრებს დაუთმობს სტუდენტთა ქალაქს.

მაგრამ გულმოდგინე გამოთვლას შემდეგ დადგინდა, რომ სტუდენტთა ქალაქი და საერთო საცხოვრებლები ვერ დააკმაყოფილებს იუგოსლავიის დედაქალაქში ჩემპიონატზე ჩამოსულებს. ამიტომ ბელგრადში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სასტუმრო „სლავიას“ მშენებლობა. აქ ძირითადად თავმოყრილი იქნებიან პრესის, რადიოსა და კინოს წარმომადგენლები, სულ 580-მდე კორესპონდენტი, ხოლო სასტუმრო „მეტროპოლი“ გამოცხადდება ჩემპიონატის ოფიციალურ სასტუმროდ.



ფოტოსააგენტოს განკარგულებაში

ჩემპიონატის ორგანიზატორებმა ფოტო მომსახურების გულდასმით შესწავლის შემდეგ გადაწყვიტეს ჩამოსული პრესის მუშაკების ფოტოდოკუმენტებით უზრუნველყოფის საქმე გადასცენ იუგოსლავიის ფოტოსააგენტოს. ამ საკითხზე უკვე მიღწეულია სრული შეთანხმება ფოტოსააგენტოსთან და მუშავდება გეგმები ფოტო სამსახურის სწრაფი და ეფექტური მუშაობისათვის.

Ш. РУСТАВЕЛИС სახ. საკონცერტო დარბაზში მიმდინარეობს ქალთა საერთაშორისო

ტურნირი ჭადრაკში

ტურის დასაწყისი 17 ს.

„გუსტავ ეიფელ“

მესარჩევი მატჩი მსოფლიო პირველობაზე

ამ დღეებში შედგა მორიგი შესარჩევი მატჩი მსოფლიო პირველობაზე ფეხბურთში. ნიდერლანდების ვესტ-ინდოეთის გუნდმა სრულიად მოულოდნელად დაამარცხა კოსტა-რიკის ნაკრები ანგარიშით 2:0 (აღსანიშნავია, რომ ამ გუნდების პირველი შეხვედრა კოსტა-რიკის ფეხბურთელებმა მოიგეს ანგარიშით 6:0).

ამ ქვეჯგუფში სათამაშო დარჩა მექსიკისა და ვესტ-ინდოეთის გუნდების მატჩი. მექსიკელები გამარჯვების შემთხვევაში შეხვდებიან პარაგვაის ნაკრებს ფინალში გასასვლელად.

რედაქტორი ი. უგულავა.

27—30 აპრილი

„განთიადის“ კორტები

(პლეხანოვის პროსპ. № 117)

საქალაქთაშორისო მატჩი

ჩოგბურთში

„ტრუდი“ (მოსკოვი)— „განთიადი“ (თბილისი)

დასაწყისი 15 ს.

დღეს! საერთაშორისო შეხვედრები ქალათბურთში ხვალ!

(ქალები)
აშშ (ნაკრები) — სსრკ (ახალგაზრდული ნაკრები)
(ვაჟები)
აშშ (ნაკრები) — სსრკ (ახალგაზრდული ნაკრები)
დასაწყისი 18 ს. 15 წ.

(ქალები)
აშშ (ნაკრები) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი)
(ვაჟები)
აშშ (ნაკრები)—„დინამო“ (თბილისი)
დასაწყისი 18 ს. 30 წ.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დალმართი № 12, დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის—3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

3 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 01000